პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ.თბილისი **04.04.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)
საბა სარიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები – საერთაშორისოს“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიანა ზამბახიძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,საბჭოს სხდომის მდივანი;
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს – „საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი – პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ მახარაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვიტარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
თინათინ ლოსაბერიძე - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ იბერიას დირექტორი;
დარეჯან ლოსაბერიძე - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ იბერიას ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

ირინე ფხაკაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:43 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა.

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ. მისი თქმით, მონიტორინგის საფუძველი გახდა ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად და მეორად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ბაზებში http://online.naec.ge/ და http://questionnaire.vet.ge/ ასახული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად გამოვლენილი გარემოება, რომლითაც აღმოჩნდა რომ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №12-ში.

ექსპერტის თქმით, მონიტორინგის ჯგუფს დაევალა დაწესებულების მატერიალური რესურსის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. ვიზიტი განხორციელდა 2016 წლის 26 მარტს. დაწესებულება ახორციელებდა 25 პროფესიულ, მათ შორის 3 მოდულურ, საგანმანათლებლო პროგრამას. მოცემული დროისათვის დაწესებულება გეგმავდა აპლიკანტთა მიღებას 14 საგნობრივ პროფესიულ პროგრამაზე. ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები:

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ ფლობდა ორ ფართს (ქ. ქუთაისი; ქ.ბაღდათი). ქუთაისის ბაზაზე არსებულ ძირითად შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ვიზიტის დროს იმყოფებოდა დროებით მისამართზე: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №12. შესაბამისად გაფორმებული იყო იჯარის ხელშეკრულება (ხანგრძლივობა: 2016 წლის 10 მარტიდან 2021 წლის 10 მარტამდე) ფართის მფლობელ დაწესებულებასთან - „შპს ქართულ-ევროპულ სკოლასთან“.

ადმინისტრაციის განმარტებით, იჯარის ხელშეკრულება განახლებული იყო (რაზეც არსებობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამისნისტროს თანხმობა იჯარის 5 წლის ვადით გაგრძელების შესახებ).

ვიზიტის დროს იჯარის ხელშეკრულება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, თუმცა ამ ეტაპზე იჯარა უკვე რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. აღნიშნული ფართი აღჭურვილი იყო ყველა პროგრამისთვის შესაბამისი ინვენტარით.

დაწესებულებას ქუთაისის დროებით ფართზე (ნიკეას ქ. N12) არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; შენობის შემოსასვლელში ფიქსირდებოდა პანდუსი, თუმცა არ იყო ადაპტირებული სველი წერტილები, მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილების საშუალებები.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით შშმ სტუდენტი არ ჰყავთ, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში პირველი სართული სრულიად აკმაყოფილებდა შშმ სტუდენტების საჭიროებებს და შესაძლებელი იყო მათთვის მხოლოდ პირველ სართულზე სწავლების პროცესის უზრუნველყოფა. მისი თქმით, უზარმაზარი შრომა იყო ჩადებული, ყველა მოწყობილობის ხელახლა დამონტაჟებითვის.

ქეთევან ჯაყელი დაინტერესდა 25 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან რამდენი ხორციელდებოდა ქუთაისში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 14 პროგრამაზე ჰქონდათ განაცხადი გაკეთებული.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, რამდენი ხნის წინ გადავიდა კოლეჯი ახალ შენობაში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მესამე თვე იყო რაც ახალ შენობაში გადავიდნენ. დაწესებულებას 2016 წლის დეკემბერში უწევდა ხელახალი ავტორიზაციის გავლა, ამიტომ თავდაპირველად დადებული ერთ წლიანი იჯარის ხელშეკრულება განახლდა და დაიდო ხუთწლიანი ხელშეკრულება. დაწესებულება ასევე გეგმავდა გაფართოებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებულ ხარვეზზე განმარტა, რომ გამოცხადებული იყო ტენდერი პანდუსის მასალის შესაძენად რომელიც 10 დღეში დასრულდებოდა და შენობა აღიჭურვებოდა პანდუსებით. სველი წერტილების ადაპტირებაზე სამუშაოები საბჭოს მსვლელობის დროსაც მიმდინარეობდა. კერძოდ, მონტაჟდებოდა სახელურები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ელექტრონული სახით წარმოედგინათ ტენდერის გამოცხადების და ადაპტირებულ სველი წერტილებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ამსახველი ფოტო მასალა.

დაწესებულების განმარტებით, ახალი შენობა, რომლის რეაბილიტირების პროცესიც მიმდინარეობდა, მომავალში იქნებოდა აღჭურვილი ყველა საჭირო მოწყობილობით და ასევე იქნება მთლიანად ადაპტირებული და ინკლუზიური სწავლებას მორგებული. ამ პერიოდში კი კოლეჯი იფუნქციონირებდა ორ მისამართზე.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა კოლეჯში სტუდენტების ზღვრული რაოდენობით. კოლეჯს ჰყავდა 900-მდე სტუდენტი, ორ ცვლაში.

ქეთევან ჯაყელმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა თუ საბჭოს მსვლელობის დროს ვერ მიიღებდნენ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, საბჭო ვერ დაუდასტურებდა სტანდარტის დაკმაყოფილებას. მისი თქმით სტანდარტი იყო მინიმალური და ის უნდა დაეკმაყოფილებინა ყველა დაწესებულებას.

ელგუჯა მელაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ფართის შერჩევის დროს უნდა ჩაედოთ ტენდერის პირობებში ის კრიტერიუმები რაც ავტორიზაციის პირობების გადამოწმების დროს პრობლემას არ შეუქმნიდათ და იქნებოდა ავტორიზაციის სტანდარტებზე მორგებული. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო აწარმოებდა მოლაპარაკებას კერძო პირთან.

დაწესებულებამ საბჭოს წარმოუდგინა პანდუსის მასალების შესყიდვისათვის გამოცხადებული ტენდერის განაცხადი და ადაპტირებულ სველ წერტილებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ამსახველი ფოტო მასალა.

13:07 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 14:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის, ქეთევან ჯაყელის განცხადებით, საბჭოს მოსაზრება იყო ერთსულოვანი საკითხების უმრავლესობასთან დაკავშირებით. მათი მოსაზრებით, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ იბერიის დირექტორი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. საბჭო ნეგატიურად იყო მის მიმართ განწყობილი, რადგან მას ჰქონდა საბჭო წევრების მოტყუების მცდელობა, როდესაც განაცხადა, რომ ტენდერი გამოცხადებული იყო პანდუსის მასალის შესასყიდად, რეალურად კი საბჭოზე შესვენების გამოცხადების შემდგომ იქნა ტენდერის მასალები ატვირთული საიტზე. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით არგუმენტი. დაწესებულების წარმომადგენელს აღნიშნულთან დაკავშირებით არგუმენტი არ ჰქონია. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საქმისადმი არაპროფესიონალური და

არასერიოზული მიდგომა განსაკუთრებით მძიმედ აისახებოდა საჯარო დაწესებულებაში, რადგან ის პირდაპირ ანგარიშვალდებული იყო სახელმწიფოსთან.

ქეთევან ჯაყელის განცხადებით, ადაპტირებული სველი წერილების მდგომარეობის ამსახველი ფოტო მასალა რომელიც დაწესებულებამ საბჭოს წარმოუდგინა იყო დაცინვა, ან დაწესებულების წარმომადგენელი იმდენად არაკომპეტენტური იყო, რომ ე.წ. თურქული ტიპის საპირფარეშოების ადაპტირება შშმ პირებისთვის მისაღებად მიაჩნდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შშმ პირებისთვის ადაპტირებული იყო უნიტაზიანი საპირფარეშოები, ე.წ. თურქული საპირფარეშოების ადაპტირება დამატებით ხდებოდა.

ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა ე.წ. თურქული ტიპის საპირფარეშოს რაში სჭირდებოდა ადაპტირება. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისი მითითებით, რამოდენიმე ე.წ. თურქული ტიპის საპირფარეშოში უნდა დამონტაჟებულიყო უნიტაზები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით 2016 წლის 1 აპრილს უნდა გამოცხადებულიყო ტენდერი, თუმცა იმის გამო, რომ ელოდებოდნენ პანდუსის მასალის ტექნიკური მონაცემების შესახებ ინფორმაციას, გადაიდო და მომდევნო სამუშაო დღეს გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო აპირებდა მიემართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის კოლეჯის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს მიაჩნდა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა ხელს უშლიდა კოლეჯის ეფექტიანად ფუნქციონირებას და რისკის ქვეშ აყენებდა კოლეჯის არსებობას. რაც შეეხებოდა, კოლეჯისათვის შანსის მიცემას საბჭო აღნიშნულ საკითხს გადაწყვეტდა კენჭისყრით. საბჭოს ნებისმიერი წევრის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება იქნებოდა მხოლოდ კოლეჯის სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე განპირობებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს, რომ ავტორიზაციის საბჭოს შესახებ დაწესებულებას ეცნობა ერთი კვირით ადრე, მისი თქმით, უფრო ადრე რომ ყოფილიყო ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ მსგავსი პრობლემები არ შეიქმნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, გონივრული მენეჯმენტის შემთხვევაში ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხების მოგვარება შესაძლებელი იყო. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, დაწესებულების დირექტორის მხრიდან მსგავსი დარღვევების არსებობისა. მოდულური პროგრამების დამატების დროსაც იყო პრობლემები მენეჯმენტის კუთხით, როდესად დირექტორმა ვერ მოახერხა ყველა მოდულის სათანადო ინვენტარით აღჭურვა, მიუხედავად პირდაპირი შესყიდვის უფლების მინიჭებისა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვის განცხადებით, ცენტრისთვის ნამდვილად იყო ცნობილი, რომ დაწესებულება იცვლიდა ფართს, კოლეჯის მიერ ოქტომბერში გამოგზავნილ წერილში მითითებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულება აპირებდა მისამართის შეცვლას თუმცა არ იყო მითითებული კონკრეტულად რა მისამართზე და როდის. ცენტრს ჰქონდა ვალდებულება, რომ 27 მარტის ჩათვლით გადაემოწმებინა და დაედასტურებინა http://online.naec.ge/ და http://questionnaire.vet.ge/ ბაზებში დაწესებულებების მიერ შეტანილი ინფორმაცია, აღნიშნულ დაწესებულებას დაუდასტურდა ქ.ბაღდათში არსებული გამოცხადებული პროგრამები, ხოლო ქ. ქუთაისში 11 პროგრამა არ დამოწმდა ინფორმაციის გადამოწმებამდე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს არაერთხელ განუხილავს მსგავსი ნაჩქარევად დაგეგმილი საკითხები, ორივე მხარე ითვალისწინებდა ერთმანეთის ინტერესებს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებდა. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, საბჭო ანგარიშს უწევდა მხოლოდ კოლეჯის სტუდენტებს და პედაგოგებს, იყო საშიშროება რომ ეს ადამიანები ქუჩაში დარჩენილიყვნენ და მოცემული მდგომარეობით სპეკულირებდა კოლეჯის დირექტორი. მისი აზრით აუცილებელი იყო დირექტორის პასუხისმგებლობის

საკითხის დაყენება, კარგი პრაქტიკა იქნებოდა გაუმჯობესებულიყო კომუნიკაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების დირექტორებს შორის, რათა სამომავლოდ აღარ განმეორებულიყო მსგავსი ფაქტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ იბერიისათვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ იბერიის (ს/კ: 212682051) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, საბჭო კატეგორიულად ითხოვდა, რომ ჩატარებულიყო მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, შემოწმებულიყო ადაპტირებული სველი წერტილებისა და პანდუსების სტანდარტთან შესაბამისობა და 2016 წლის 5 მაისს აღნიშნული საკითხი განსახილველად გასულიყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, რის მიხედვითაც საბჭო მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას. იმ დროისათვის სტუდენტთა რეგისტრაცია უკვე დასრულებული იქნებოდა და კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა კოლეჯის დირექტორს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 15:00 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე